1929.6.II

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

34(05)
Ⴑ-29.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1929 ნოემბრის 25 — № 6 — ნაწილი მეორე

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

19. წესდება სახელმწიფო სამრეწველო „ჭიათურის შავი ქვის ტრესტისა“.

---

წესდება დამტკიცებულია ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის მიერ ოქმი № 26 ამა წლის 4 მარტს.—სმუს პრეზიდიუმის მდივანი ლოზჟანიძე.

# წ ე ს დ ე ბ ა

## ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს გამგებლობაში მყოფ სახელმწიფო სამრეწველო ჭიათურის შავი ქვის ტრესტისა.

### 1. ზოგადი დებულება.

1. ჭიათურის სამრეწველო რაიონში შავი-ქვის მადნის ამოსაღებად, მისი გასარეცხად, ფერომანგანიტის და სხვა და სხვა შავი-ქვის ნაწარმოების დასამუშავებლად, და აგრეთვე ნაწარმოების გასანაღდებლად, თანახმად 1927 წ. 29 ივნისის დებულებისა (კან. კრ. ს. ს. რ. კ., 1927 წ. № 39, მ. 352) არსდება რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო სამრეწველო ტრესტი, სახელწოდებით „საქართველოს უმაღლეს მეურნეობის საბჭოს ჭიათურის შავი-ქვის ტრესტი“, შემოკლებით „საქართველოს შავი-ქვის ტრესტი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



2. შავი ქვის ტრესტის შემადგენლობაში შედიან შემდეგი საწარმოო წამოწყებანი:

1) რგანის სარეცხი ქარხანა, მდებარე ჭიათურის შავი ქვის რაიონში ჭალის ღელეში, შორაპნის მაზრა, დაახლოვებით 3 კლმ. სად. ჭიათურიდან ა/კ რ. გ.

2) რგანის შავი ქვის მაღაროები ზომით დაახლოვებით 290 გექტ., მდებარე სოფ. რგანში, შორაპნის მაზრა, დაახლოებით 3 კილ. საშუალოდ სად. ჭიათურიდან ა/კ. რ. გ.

3) ზედა-რგანის შავი ქვის მადნის მაღაროები ზომით დაახლოებით 230 გექტ., მდებარე სოფ. ზედა-რგანში დაახლოებით 4 კილ. საშუალოდ სად. ჭიათურიდან.

4) თაბაგრების შავი ქვის მადნის მაღაროები ზომით დაახლოვებით 90 გექტ., მდებარე სოფ. თაბაგრებში, შორაპნის მაზრა, 6 კილ. სად. ჭიათურიდან.

5) მღვიმევის შავი ქვის მადნის მაღაროები ზომით დაახლოებით 450 გექტ., მდებარე სოფ. მღვიმევში, შორაპნის მაზრა, 3 კილ. სად. ჭიათურიდან.

6) დარკვეთის შავი ქვის მადნის მაღაროები ზომით დაახლოვებით 380 გექტ., მდებარე სოფ. დარკვეთში, შორაპნის მაზრა, 6 კილ. სად. ჭიათურიდან.

7) ითხვისის შავი ქვის მადნის მაღაროები ზომით დაახლოვებით 340 გექტ., მდებარე სოფ. ითხვისში, შორაპნის მაზრა, 7 კილ. სად. ჭიათურიდან.

8) შუკრუტის შავი ქვის მადნის მაღაროები ზომით დაახლოვებით 420 გექტ., მდებარე სოფ. შუკრუტში, შორაპნის მაზრა, 4 კილ. სად. ჭიათურიდან.

9) პერევისის შავი ქვის მადნის მაღაროები ზომით დაახლოვებით 500 გექტ., მდებარე სოფ. პერევისში, შორაპნის მაზრა, 2 კილ. სად. ჭიათურიდან.

ამის გარდა, საქართველოს შავი ქვის ტრესტს მიკუთვნებული აქვს მიწის ნაკვეთები, მდებარე ჭიათურის შავი ქვის რაიონში, ზომით დახლოვებით 3.700 გექტარი ყველა წყლებით.

3. შავი ქვის ტრესტი დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულია და მოქმედობს კომერციულ ანგარიშის საფუძველზე, ს. მ. უ. ს.-ის მიერ დამტკიცებულ საგეგმო დავალებებთან შეთანხმებით. რეგისტრაციის დღიდან შავი ქვის ტრესტს მიეკუთვნება იურიდიული პირის ყველა უფლება.

4. ყველა თავის ვალდებულების გამო შავი ქვის ტრესტი პასუხისმგებელია მხოლოდ იმ, მისთვის მიკუთვნებული, ქონებით, რომელზედაც მომქმედი კანონების მიხედვით შესაძლებელი იქნება გადახდევინების მიქცევა.

საერთო სახელმწიფო ხაზინა პასუხს არ აგებს შავი ქვის ტრესტის ვალების გამო. ამასთან—ტრესტის ქონებაზე არ შეიძლება მიქცეულ იქნეს რაიმე სახელმწიფო ვალისა და ვალდებულებათა გადახდევინება.

5. შავი ქვის ტრესტს შეუძლია ს. ს. რ. კავშირის მთელ ტერიტორიაზე აწარმოოს ყველა ის ოპერაცია, მათ შორის სავაჭროც, რაც კი საჭიროა ამ წესდების §-1-ში მოხსენებული მიზნების განსახორციელებლად.

6. შავი ქვის ტრესტი ფლობს, სარგებლობს და განაგებს მის განკარგულებაში მყოფ ქონებას და იბეგრება საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ხასიათის გადასახადებით და გამოსაღებით საერთო კანონების მიხედვით,

მხოლოდ იმ გამონაკლისით, რაც აღნიშნულია 1927 წ. 29 ივნისის სახელმწიფო მრეწველობის ტრესტების დებულებაში და სპეციალურ კანონებში.

7. შავი ქვის ტრესტისადმი მიკუთვნებულ რაიმე ქონების უსასყიდლოდ გამოყოფა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო-სამრეწველო ტრესტების 1927 წლის 29 ივნისის დებულების მე-7 მუხლში გათვალისწინებული წესების დაცვით.

8. შავი ქვის ტრესტი იძენს და ასხვისებს იმ საქონელს, რომლის ღირებულებაც არაა დანიხრული, იმ ფასებში, რომელიც მიღწეულ იქნება მყიდველთან ურთიერთ შორის შეთანხმების ნიადაგზე.

**შენიშვნა.** შავი ქვის ტრესტისათვის სავალდებულო გასაცემ ფასებს მის საქონელზე, მომქმედი კანონების დაცვით, აწესებს საქართველოს ს. მ. უ. ს. იმ შემთხვევაში კი, როცა ფასების მოგვარების აუცილებლობას მოითხოვენ საკავშირო ინტერესები, შავი ქვის ტრესტისათვის სავალდებულო ფასებს აწესებს ს. ს. რ. კავშირის ს. მ. უ. ს.

9. გარიგებათა დადებისას შავი ქვის ტრესტი ვალდებულია, ყველა სხვა თანაბარ პირობებში, უპირატესობა მიაკუთვნოს სახელმწიფო დაწესებულებას და წარმოებას და კოოპერატიულ ორგანიზაციას, როცა ისინი კონტრაგენტებათ გამოდიან.

10. შევი ქვის ტრესტის პროდუქციის წინასწარი დაკვეთა სახელმწიფო ორგანოების სასარგებლოდ დასაშვებია სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების 1927 წლის 29 ივნისის დებულების 39 მუხლის წესისამებრ.

11. ყველა იმ შემთხვევაში, რაც ამ წესდებით არაა გათვალისწინებული, შავი ქვის ტრესტი მოქმედობს სახელმწ. სამრეწ. ტრესტების 1927 წლის 29 ივნისს დამტკიცებული დებულების და აგრეთვე მომქმედი კანონების მიხედვით.

12. შავი ქვის ტრესტს მინიჭებული აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდების აღნიშვნით.

## II. საწესდებო კაპიტალი.

13. შავი ქვის ტრესტის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ამ წესდებასთან დართულ შავი ქვის ტრესტის 1928 წლ. 1-ლ აგვისტოს ბალანსის მიხედვით ოთხი მილიონი ცხრაას ოთხმოცდა ცხრამეტი ათასი ცხრაას ოცდა თორმეტი მან. 99 კაპ. რაოდენობით.

**შენიშვნა.** საწესდებო კაპიტალში არ შედის ამ წესდებას §-2 თანახმად შავი ქვის ტრესტისათვის მიკუთვნებული მიწის ნაკვეთები.

## III. შავი ქვის ტრესტის მმართველობა, მისი უფლება და მოვალეობანი.

14. შავი ქვის ტრესტის მართვა გამგეობისათვის საქართველოს ს. მ. უ. ს. ნიშნავს მმართველს და მის მოადგილეს ერთი წლის ვადით.

**შენიშვნა.** საქართველოს ს. მ. უ. ს. შეუძლია ზემოაღნიშნულ ვადის გასვლამდე დაითხოვოს როგორც მმართველი, ისე მისი მოადგილე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა მათი შეუფერებლობა დაკისრული მოვალეობისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. შავი ქვის ტრესტის სამმართველოს ადგილსამყოფელი არის ქ. თბილისში.

16. ტრესტის მმართველი, ამ წესდების საფუძველზე და მომქმედ კანონების ფარგლებში, საქართველოს ს. მ. უ. ს-ის საერთო ზედამხედველობის ქვეშ, დამოუკიდებლად აწარმოებს შავი ქვის ტრესტის ყველა ოპერაციულ და ადმინისტრატიულ ხასიათის სამუშაოს, განაგებს მის საქმეებს და მისივე განკარგულებაში მყოფ ქონებას და აგრეთვე ასრულებს ყველა იმ გარიგებებს და ოპერაციებს, რაც შავი ქვის ტრესტის გამგებლობაში შედის.

17. კერძოთ, მმართველის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) შავი ქვის ტრესტის შემადგენლობაში შემავალი ყველა წამოწყების ხელმძღვანელობა და წარმოებათა ორგანიზაცია;

ბ) შავი ქვის ტრესტის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო წამოწყებათათვის, საქართველოს ს. მ. უ. ს. მიერ დამტკიცებული ტიპიური დებულების საფუძველზე, მართვა-გამგეობის დებულების დამტკიცება;

გ) შედგენა და საქ. ს. მ. უ. ს-ში წარდგენა დასამტკიცებლად საწარმოო-საფინანსო და კაპიტალური შეკეთების, ახალი საწარმოო წამოწყებათა მშენებლობის, არსებულის კი დამთავრების და გადაკეთების გეგმებისა; კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში კი შედგენა და წარდგენა საქ. ს. მ. უ. ს-ში ახალ მშენებლობის ტეხნიკური პროექტისა და აგრეთვე წამოწყებათა დამთავრების ან გადაკეთების შესახებ.

**შენიშვნა.** თუ ვინიცობაა საქ. ს. მ. უ. ს-ის მიერ საოპერაციო წლის დასაწყისისათვის არ იქნება დამტკიცებული შავი ქვის ტრესტის საწარმოო-საფინანსო გეგმა, ტრესტის მმართველი თავის საწარმოო საქმიანობას ახორციელებს მის მიერ შედგენილი გეგმის თანახმად უკანასკნელის დამტკიცებამდე.

დ) წარდგენა საქ. ს. მ. უ. ს-თვის დასამტკიცებლად უკვე დამტკიცებულ გეგმაში არსებითი ცვლილების შეტანის პროექტისა (პ. „გ“).

ე) შედგენა და საქ. ს. მ, უ. ს-თვის წარდგენა დასამტკიცებლად პერიოდული ანგარიშების და ბალანსების, აგრეთვე მოგების განაწილების და ზარალის დაფარვისათვის საჭირო ზომების პროექტისა;

ვ) სალაროს მოწყობა, საქმის წარმოება და დადგენილი სისტემის მიხედვით ანგარიშწარმოება;

ზ) მუშა-მოსამსახურეთა მიღება და დათხოვნა, კოლექტიური ხელშეკრულების და ცალკე შრომითი შეთანხმების დადება და საქ. ს. მ. უ. ს-ში წარდგენა ტრესტის მთავარი ბუჰლალტერის დანიშვნის და დათხოვნის შესახებ;

თ) ნაგებობათა დაქირავება, იჯარით მიცემა და შეძენა; აგრეთვე შეძენა აღნაგობის უფლებისა.

**შენიშვნა.** მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების ფონდის ხარჯზე გაკეთებული სახლების იჯარით გაცემა ხდება საქ. ს. მ. უ. ს. ნებართვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ი) ს. ს. რ. კავშირის მთელ ტერიტორიაზე, შავი ქვის ტრესტის ფილიალების (განყოფილების, კანტორის, წარმომადგენლობის, სააგენტოს და სხვა) გახსნა;

კ) დაძველებულ და სახმარად უვარგის შენობათა, ნაგებობათა და მოწყობილობათა გასხვისება და დაგირავება; გასხვისება და დაგირავება ყველა სხვა შემთხვევაში შენობათა, ნაგებობათა და მოწყობილობათა საქ. ს. მ. უ. ს. ნებართვით და აგრეთვე მისივე ნებართვით გასხვისება და დაგირავება აღნაგობის უფლებისა;

ლ) იჯარით აღება და გაცემა, ვადით—ექვს წლამდე, მოწყობილობისა და ტრესტისათვის დამხმარე წამოწყებათა; იჯარით აღება და გაცემა, საქ. ს. მ. უ. ს. ნებართვით, დამხმარე წამოწყებათა მოწყობილობის ექვს წელზე მეტი ვადით და აგრეთვე საწარმოო წამოწყებათა ვადის მიუხედავად;

მ) ტრესტის კუთვნილი ქონების დაზღვევა;

ნ) გაცემა და მიღება გასანაღდებლად თამასუქების და სხვა ვალდებულებათა, დახურდავება თამასუქების; საკრედიტო ოპერაციების წარმოება სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო დაწესებულებებთან და კერძო პირებთან;

ო) ს. ს. რ. კავშირის ს. მ. უ. ს. წარდგენით და შრომის და თავდაცვის საბჭოს საგანგებო ნებართვით, საზღვარგარეთ, გრძელვადიანი საკრედიტო სესხის ოპერაციის ჩატარება და აგრეთვე გრძელვადიანი საობლიგაციო სესხის გამოშვება.

**შენიშვნა.** საობლიგაციო სესხის საკითხის გადაჭრის დროს ს. ს. რ. საკავშირო სახკომსაბჭოს საგანგებო გადაწყვეტილებით შეიძლება დაშვებული იქნეს ხაზინის გარანტია, როგორც პროცენტების გადახდის, ისე თვით სესხის დაფარვის შესახებ.

პ) შავი ქვის ტრესტის მიზნების განსახორციელებლად საჭირო ყოველგვარი გარიგების, აქტის და ხელშეკრულების, მათ რიცხვში სანარდო სამუშაოთა და მოწოდების ხელშეკრულების დადება; გაცემა რწმუნებულობათა;

რ) საქ. ს. მ. უ. ს. ნებართვით, სინდიკატების, სააქციო საზოგადოებათა (საპაიო ამხანაგობათა) და სხვა სავაჭრო სამრეწველო გაერთიანებათა დაარსებაში მონაწილეობა და მათი აქციების და პაის შეძენა, აგრეთვე მონაწილეობა სინდიკატთა კონვენციებსა და ისეთ საზოგადოებებში, რომლებიც მოგებას არ მისდევენ, თუ მათი ამოცანები შეეფერებიან ამ წესდების §-1 აღნიშნულ მიზნებს;

ს) იძიოს და პასუხი აგოს სასამართლოში—და ამის გარდა, როგორც მმართველმა, ისე მისმა მოადგილემ პირადად, ან და სპეციალურ რწმუნებით უფლებამოსილ რწმუნებულის საშუალებით წარსდგეს ყველა ადმინისტრატიულ დაწესებულებაში.

18. ტრესტიდან გასულ ქაღალდებზე ხელისმოწერის წესს ადგენს მმართველი. ვექილობანი, ხელშეკრულებანი და სხვა აქტები უნდა იყოს ხელმოწერილი ან მმართველის, ან მისი მოადგილეს, ან და იმ პირის მიერ, რომელიც აღჭურვილი იქნება საგანგებო რწმუნებულებით. ჩეკები, თამასუქები და სხვა და

ეროვნული ბიბლიოთეკა



სხვა ფულიან ხასიათის ვალდებულებანი უნდა იქნენ ხელმოწერილი გარდა ზემოაღნიშნულ პირისა, აგრეთვე ბუხჰალტერის ან და მისი მოადგილის მიერ.

19. მმართველი და მისი მოადგილე ვალდებულნი არიან მიიღონ ყოველგვარი ზომა ამ წესდებაში აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად, გამოიჩინონ საჭირო მზრუნველობა და წინდახედულობა და მომქმედი კანონების თანახმად პასუხს აგებენ, როგორც დისციპლინარული, ისე სისხლის და სამოქალაქო სამართლის წესით, მინდობილი ქონების როგორც მთლიანობისა, ისე სამეურნეო წესით საქმის წარმოებისათვის.

### IV. შავი ქვის ტრესტში შემავალი საწარმოო წამოწყებათა მმართველობა.

20. შავი ქვის ტრესტში შემავალ (§-2) ცალკე საწარმოო წამოწყებათა უშუალო მმართვა-გამგეობას ანხორციელებენ გამგეები, რომლებსაც ნიშნავს და ითხოვს სამსახურიდან შავი ქვის ტრესტის მმართველი; გამგეები მოქმედებენ ერთპიროვნულად, შავი ქვის ტრესტის მმართველის მიერ დამტკიცებული საგანგებო დებულების და მასთანვე მიღებულ რწმუნებულობის თანახმად.

### V. შავი ქვის ტრესტის სპეციალური კაპიტალი და მოგება.

21. საწესდებო კაპიტალის (§-13) გარდა სდგება, ყოველ მხრივ თანახმად არსებულ კანონმდებლობისა, აგრეთვე:

ა) საამორტიზაციო კაპიტალი,

ბ) სათადარიგო კაპიტალი,

გ) კაპიტალი წარმოების გასაფართოებლად და

დ) მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესობის ფონდი, რომელნიც იმყოფებიან თანახმად ტრესტების დებულების 43—49 მუხლებისა მის განკარგულებაში.

სხვა სპეციალური კაპიტალის შედგენა მხოლოდ საქართველოს ეკონომიური საბჭოს ნებართვით შეიძლება.

22. შავი ქვის ტრესტის ქონების ამორტიზაცია სწარმოებს სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების 1927 წ. 29 ივნისის დებულების 44 და 45 მ. მ. აღნიშნული წესების დაცვით.

23. მოგების და ზარალის რაოდენობის განსაზღვრა, მოგების განაწილება და სპეციალურ კაპიტალებში და ხაზინის სასარგებლოდ მოგებიდან ანარიცხების გადადება. ზარალის დაფარვა და აგრეთვე სპეციალური კაპიტალების ხარჯვა სწარმოებს იმავე დებულების 46—49 მ. მ. გათვალისწინებულ წესების თანახმად.

### VI. შავი ქვის ტრესტის ანგარიშგება, მისი საქმიანობის რევიზია.

24. ყოველწლიურად, არა უგვიანეს 3 თვისა საოპერაციო წლის დასრულებიდან, რაც იანგარიშება მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან დაწყებული მომავალი წლის 1-ლ ოქტომბრამდე, შავი ქვის ტრესტის მმართველი უდგენს საქ. ს. მ. უ. ს. განსახილველად და დასამტკიცებლად, შრომისა და თავდაცვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს მიერ დამტკიცებული წესების თანახმად შედგენილ ანგარიშს, ბალანსს და მოგება-ზარალის ანგარიშს, აგრეთვე პროექტს ზარალის დაფარვის და მოგების განაწილების შესახებ, სახელმწიფო სამრეწველო ტრესტის 1927 წლის 29 ივნისის დებულების თანახმად.

ანგარიშების და ბალანსების წარდგენის ვადის გაგრძელება შესაძლოა საჯარო ანგარიშგების შესახებ არსებული წესების დაცვით.

25. შავი ქვის ტრესტის დამტკიცებული ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში მმართველის მიერ ქვეყნდება საჯარო ანგარიშგების წესებით გათვალისწინებული დებულებათა მიხედვით.

26. შავი ქვის ტრესტის მოღვაწეობის რევიზიას აწარმოებს საქ. ს. მ. უ. ს-ი მმართველი ვალდებულია დაუყონებლივ წარუდგინოს განსახილველად საქ. ს. მ. უ. ს. სათანადო ორგანოს ყველა დავთარი და საბუთი, საქმეები და მიმოწერა; ამასთან ვალდებულია აღმოუჩინოს მათ შავი ქვის ტრესტის მოღვაწეობის გამოკვლევისა და რევიზიის დროს ყოველგვარი დახმარება.

27. იმ შემთხვევების გამოკლებით, რაც მომქმედ კანონებში გადაჭრითაა აღნიშნული, საქ. ს. მ. უ. ს. საბჭოს გარდა ხელისუფლების სხვა ორგანოთ, თავის კომპეტენციის ფარგლებში, უფლება აქვს გაუკეთონ შავი ქვის ტრესტის მმართველს რაიმე მითითებანი და მოსთხოვონ ანგარიშების და ცნობათა წარდგენა, მხოლოდ საქ. ს. მ. უ. ს. საბჭოს მეშვეობით.

### VII. შავი ქვის ტრესტის წესდების შეცვლა.

28. საწესდებო კაპიტალის გადიდება ან შემცირება, ან და ამ წესდებაში სხვა ცვლილების შეტანა უნდა მოხდეს სახელმწ. სამრ. ტრესტების შესახებ 1927 წლ. 29 ივნისს დამტკიცებული დებულების 11 და 14 მ. მ. მოთხოვნილებათა დაცვით.

### VIII. შავი ქვის ტრესტის საქმიანობის შეწყვეტა.

29. შავი ქვის ტრესტის საქმიანობა სწყდება მისი ლიკვიდაციის, გაერთიანების, შეერთების ან დანაწილების გამო სახელმწ. სამრ. ტრესტების შესახებ 1927 წლის 29 ივნისს დამტკიცებული დებულების 55--64 მ. მ. გათვალისწინებული წესების დაცვით.

---

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფ ტრესტის მე-3 სტამბა.

შეკვეთა № 271. ტირაჟი 250. მთავლიტი 1839.